საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 4 22 0000794230

12/07/2022

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე მუხლის, 36-ე მუხლის, 39-ე მუხლის, მე-40 მუხლის პირველი პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 42-ე მუხლის, 43-ე მუხლის, 126^1 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-9 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-8 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვროს სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით, 2022 წლის 13 ივლისიდან 2022 წლის 22 ივლისის ჩათვლით.
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე სარგო განისაზღვრება 2090 (ორი ათას ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით.

4. ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს კოორდინატორის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.
5. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
6. გამოსაცდელი ვადა - 6 თვე.
7. ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს კოორდინატორის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) განათლება - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის ან ფინანსების მიმართულებით;
ბ) სამუშაო გამოცდილება - ფინანსური დაგეგმვისა და ანალიზის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 2 - წლიანი გამოცდილება (სასურველია საბიუჯეტო ორგანიზაციაში);
გ) ინგლისური ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - A2 დონეზე, ქართული ენის (წერა და მეტყველება) ფლობა - C2 დონეზე;
დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel) და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის (eTreasury) ძალიან კარგად ცოდნა, ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) კარგად ცოდნა, რაც დასტურდება წარმოდგენილი რეზიუმეთი.
8. კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:
ა) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“
ბ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ''.
გ) საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი'';
დ) საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი;“
ე) საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ;“
ვ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
ზ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
თ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის №112 ბრძანება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე'';
ი) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
კ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ'';
ლ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის N 89/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.
9. ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
9.1. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით ყოველთვიურად საბიუჯეტო ასიგნებებიდან და საკუთარი შემოსავლებიდან გაწეულ ხარჯებზე კონტროლი და საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ასახვა შესაბამის ცხრილში;
9.2. იმ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებში არსებული თანხების დაანგარიშება, რომლებიც მოიცავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის წილობრივი კუთვნილი ფართების მიხედვით განაწილებას;

9.3. ცენტრის შენობაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად წყლის განაწილების, გარე განათებისა და სხვა ხარჯების შესახებ შეთანხმების დოკუმენტის მომზადება;
9.4. საგრანტო დაფინანსებასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება. კერძოდ, ხელშეკრულების დარეგისტრირება საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით ფინანსური ანგარიშის მომზადება და შესაბამის ორგანიზაციებში გადაგზავნა, გრანტის ფარგლებში გასაწევი ხარჯების კონტროლი და საბოლოო ანგარიშის მომზადება;
9.5. სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით ცენტრის ანგარიშზე გადახდილი თანხების კონტროლი და შედარება;
9.6. ცენტრის პროექტების წინასწარი ფინანსური ანალიზი;
9.7. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღმა გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება;
9.8. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ქონების მიღება/გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება, გარდა სახელმწიფო შესყიდვებისა;
9.9. მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ძირითადი საშუალებების უსასყიდლო მიღება/გადაცემასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის მომზადება;
9.10. ფიზიკური და იურიდიული პირებისგან ზედმეტად ან შეცდომით ჩარიცხული თანხების დაბრუნების შესახებ მოკვლევის ჩატარება და შესაბამისი სამსახურებრივი ბარათებისა და წერილების მომზადება;
9.11. ფინანსური შინაარსის წერილების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის გამოთხოვა ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან და შესაბამისი წერილების მომზადება;
9.12. მიღება-ჩაბარების აქტებისა და სხვადასხვა ფინანსური დოკუმენტაციის მომზადება;
9.13. კომპეტენციის ფარგლებში, ცენტრის წარმომადგენლის ფუნქციის შესრულება საქართველოს საჯარო რეესტრში, შემოსავლების სამსახურსა და სხვა უწყებებთან ურთიერთობის დროს;
9.14. ცენტრში სხვადასხვა პროგრამების არსებობის შემთხვევაში ფინანსური მონიტორინგის პროცესში მონაწილეობა;
9.15. კომპეტენციის ფარგლებში, სამმართველოში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
9.16. ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
10. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
ა) ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
ბ) სიზუსტესა და დეტალებზე ორიენტირებულობა;
გ) ბიუჯეტის ფორმირებისა და ანალიზის უნარი;
დ) დროის ეფექტიანად მართვის უნარი;
ე) ანალიტიკური აზროვნების უნარი;
ვ) გუნდური მუშაობის უნარი.
11. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით;
ბ) შესაბამის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი ან/და ცნობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე) ასლი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);

დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც უნდა ჩანდეს თუ რატომ სურს კანდიდატს აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობა, მისი პიროვნული თვისებები, სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებული პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მას მუშაობაში.

12. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:

ა) კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) კანდიდატის შეფასება;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადება.

13. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს გასაუბრების საფუძველზე, საკონკურსო თემატიკის ცოდნის, ანალიტიკური აზროვნების უნარისა და მოტივაციის გათვალისწინებით, დანართის შესაბამისად.

14. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად ცენტრის დირექტორს წარედგინოს საუკეთესო შედეგის მქონე კონკურსანტი, იმ დათქმით, რომ მისი შედეგი (ქულა) ქულათა შესაძლო მაქსიმალური ოდენობის 50%-ზე მეტი იქნება.

15. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

16. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მერაბ ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.

17. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

18. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

19. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

20. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ